ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №8

ქ. ქუთაისი 15. 01. 2020 წ.

ერთი მხრივ, სსიპ ქალაქ ქუთაისის №26 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველად" წოდებული), დირექტორის ვარდო უგლავას სახით და მეორე მხრივ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი _ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო (შემდგომში „მიმწოდებლად" წოდებული) უფროსის მიხეილ სანიკიძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოების შესრულებას სამმართველოს დაცვაზე მყოფ სსიპ ქალაქ ქუთაისის №26 საჯარო სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ქუთაისი, ლესელიძის ქ. №4-ში.

1.2. დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემისათვის აკუმულატორის 18 ა/სთ 1 ც. შესყიდვა.

1.3. **კლასიფიკატორის კოდი: CPV 31431000.**

მუხლი 2. ანგარიშსწორების წესი და პირობები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს **65,51** (სამოცდახუთი ლარი და ორმოცდათერთმეტი თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით (დანართი 1);

2.2 „შემსყიდველი" ვალდებულია 2.1 პუნქტის გათვალისწინებული ღირებულება გადაიხადოს მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის/ინვოისის წარდგენიდან არაუგვიანეს 5 საბანკო დღის ვადაში;

2.3.ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული თანხის გადახდის შემდეგ დანართი №1-ში მოცემული მასალები გადადის „შემსყიდველის" საკუთრებაში.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

3.1.1 შეასრულოს დაცვითი სიგნალიზაციის სამონტაჟო-გასამართი სამუშაოები საკუთარი ინვენტარითა და სამუშაო ძალებით;

3.1.2 უზრუნველყოს სამუშაოების დროული და ხარისხიანი შესრულება;

3.1.3 გააცნოს "შემსყიდველს" დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის ექსპლუატაციის ინსტრუქცია;

3.1.4 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს, სამუშაოების დასრულების დღიდან საგარანტიო ვადის ექვსი თვის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა, თუ ისინი გამოწვეული არ არის „შემსყიდველის" მიერ არასწორი ექსპლუატაციით;

3.1.5 „მიმწოდებელი" წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა, დაიწყოს სამონტაჟო-გასამართი სამუშაოების წარმოება;

3.1.6 „შემსყიდველის" მიერ 3.2.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულების შემთხვევაში, უზრუნველყოს ხუთ სამუშაო დღეში სამონტაჟო-გასამართი სამუშაოების დამთავრება, რაზედაც გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

3.2. **„შემსყიდველი" ვალდებულია:**

3.2.1 უზრუნველყოს „მიმწოდებელი" სამუშაოების შესრულებისათვის აუცილებელი პირობებით;

3.2.2 დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟი საინსტალაციო სამუშოები მიიღოს მიღება-ჩაბარების აქტით, ხოლო ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა უზრუნველყოს „მიმწოდებლის" საბანკო ანგარიშზე წინამდებარე ხელეკრულების 2.2 პუნქტის გათვალისწინებულ ვადებში.

3.2.3 უზრუნველყოს დამონტაჟებული სიგნალიზაციის ექსპლუატაციის წესების დაცვა;

3.2.4 არ დაუშვას საგარანტიო პერიოდის განმავლობაში აპარატურის გადაკეთება ან შეკეთება დაცვის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლის გარეშე.

მუხლი 4. ფორს-მაჟორი

4.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება.

მუხლი 5. საქონლის მიწოდწბის ვადა

5.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია მიაწოდოს „შემსყიდველს" სამონტაჟო მასალა 2020 წლის 15 თებერვლის ჩათვლით.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს სამონტაჟო მასალების ხარჯთაღრიცხვა. (დანართი №1)
7.2 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;
7.3 სადაო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;
7.4 ხელშეკრულება შედგენილია ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო სამი „მიმწოდებელთან".

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი"
სსიპ ქალაქ ქუთაისის №26 საჯარო სკოლა
მის: ქ. ქუთაისი, ლესელიძის ქ. №4
ს/კ: №212708364
ტელ: 577 277-526; (0431) 24-24-28

დირექტორი: /ვ. უგლავა/

„მიმწოდებელი"
შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის
იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო
ქ. ქუთაისი ნიკეას №9; ს/კ 211350928
მიმღების ბანკი_ სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება _ ხაზინის ერთიანი ანგარიში;
ბანკის კოდი _ TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი _707117042

იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის
პოლიციის სამმართველოს უფროსი: /მ. სანიკიძე/

ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა № 1

დაცვითი-საგანგაშო ტექნიკური საშუალებების მონტაჟის შესახებ

ხარჯთაღრიცხვის №		მასალის ღირ.	55.51
ხელშეკრულების თარიღი		მონტაჟი	0.00
ხელშეკრულების სტარტ თარიღი			
ხელშეკრულების ვადა		დღგ	9.99
ხელშეკრულების პროლონგაცია		ხელშეკრულების თანხა	65.51
დამკვეთის საინდეტიფიკაციო (პირადი) №	ს/კ №	212708364	
დამკვეთის დასახელება	სსიპ ქალაქ ქუთაისის №26 საჯარო სკოლა		
დამკვეთის მისამართი	ქ. ქუთაისი, ლესელიძის ქ. №4		
ხელმომწერი	დირექტორი: ვარდო უგლავა		
დამკვეთის ანგარიშის №			
დამკვეთის ბანკის კოდის №			

№	საქონლის კოდი	შტრიხ-კოდი	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი		სულ თანხა	
						დღგ გარეშე	დღგ ჩათვლით	დღგ გარეშე	დღგ ჩათვლით
1	2		3	4	5	6	7	8	9
1	14220	90096802	აკუმულატორი 18 ა/სთ	ცალი	1	55.5142	65.5068	55.51	65.507
			ჯამი :		1	55.514	65.50676	55.51	65.50676

"შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი"

სსიპ ქალაქ ქუთაისის №26 საჯარო სკოლა

ქ. ქუთაისი, ლესელიძის ქ. №4

ს/კ: №212708364

დირექტორი: /ვარდო უგლავა/

"მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი"

იმერეთი-გურიის რეგიონალური

დაცვის პოლიციის სამმართველო

ქ. ქუთაისი - ნიკეას ქ. №9

ს/კ: №211350928

უფროსი: /მიხეილ სანიკიძე/